

## ბორჯომის მუნიციპალიტეტის თანამედროვე გეოდინამიკური პროცესების რისკებისა და საფრთხეების შეფასება.

### *ბექა იმედაშვილი*

ელ-ფოსტა: [beka.imedashvili407@ens.tsu.edu.ge](mailto:beka.imedashvili407@ens.tsu.edu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, 0179, საქართველო

ბორჯომის მუნიციპალიტეტი საინტერესოა თავისი გეომორფოლოგიური, კლიმატური პირობებით. ეს რეგიონი გამოირჩევა გეოდინამიკური პროცესების აქტიური გამოვლინების თვალსაზრისით. სტიქიური პროცესების განვითარება-გააქტიურება განპირობებულია ტერიტორიის გეოლოგიური აგებულების სირთულით, რელიეფის, ლანდშაფტურ-კლიმატური პირობების კონტრასტულობით და ადამიანის მაღალი ანთროპოგენური ზეგავლენით გარემოზე. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ბორჯომის მუნიციპალიტეტი.

საკვლევი აუზის ფარგლებში სტიქიური პროცესები დიდ ზიანს აყენებს სოფლის მოსახლეობას. სტიქიური პროცესები განსაკუთრებით აზიანებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ასევე ზიანდება გზები, ხიდები, საცხოვრებელი სახლები. აქ განვითარებულ საშიშ ბუნებრივ პროცესებს შორის განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს მეწყრული და კლდეზვავ-ქვათაცვენითი მოვლენები, ღვარცოფები, წყალდიდობები, მდინარეთა ნაპირების გამორეცხვა.

კვლევის მიზანს წარმოადგენს ბორჯომის მუნიციპალიტეტის კვლევა, გეოეკოლოგიურად დამაბული ტერიტორიების გამოვლენა, სტიქიური პროცესების გავრცელების არელების შემოწმება საველე-საექსპედიციო პირობებში, მონაცემთა მიღება, დამუშავება და მათზე დაყრდნობით შესაბამისი გეოდინამიკური პროცესების რუკების შექმნა, რაც დაგეხმარება სამომავლოდ სარისკო ზონების დაფიქსირებაში, შეფასებაში და შემდგომ მათი თავიდან აცილების გზების შემუშავებაში.

რელიეფის კარტოგრაფიული ანალიზისა და აეროფოტოსურათების შედარების საფუძველზე, საველე კვლევების მეშვეობით მიღებული ინფორმაციისა და კამერალური კვლევების შედეგად გამოვლინდა გეოდინამიკური პროცესების თვალსაზრისით აქტიური და საშიში ტერიტორიები.

საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლინდა სტიქიური გეოდინამიკური პროცესებით დამაბული აუზები, დადგინდა კონკრეტულ აუზში წამყვანი სტიქიური გეოდინამიკური პროცესის სიხშირე და

მოქმედების მასშტაბები. კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას საკვლევი ბორჯომის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების საკითხების შეფასებისას.